სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

LEPL GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT

01-102 15.09.2021

ბრძანება N

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის 1-2-3-4-5 პუნქტების, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 ოქტომბერის №01/745 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 25-ე მუხლის 1-2-4 პუნქტებისა და 26-ე მუხლის, აგრეთვე, სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2015 წლის 30 ოქტომბერს (ოქმი N5) დამტკიცებული "საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის"- დებულების მე-20 და 21-ე მუხლების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2021 წლის 20 სექტემბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი
   ა)**ასოცირებული პროფესორის** აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად მწვრთნელთა ფაკულტეტის <u>სპორტის გამოყენებითი სახეების და ორთაბრძოლების კათედრაზე</u> საგანში: **ჭიდაობის თეორია და მეთოდიკა.**
   ბ) **ასოცირებული პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიოტაციის ფაკულტეტის ანატომიის ფიზიოლოგიის, ბიოლოგიისა და ბიოქიმიის კათედრაზე საგანში **ადამიანის ანატომია**
2. განცხადების მიღება შესაბამის ფაკულტეტის დეკანატში დაიწყოს გამოცხადებიდან ერთი თვის შემდეგ, 2021 წლის 20 ოქტომბრიდან 2021 წლის 26 ოქტომბრამდე, ყოველ დღე 10:00-დან 15:00 საათამდე.
3. საბუთების განხილვა მოხდეს 2021 წლის წლის 27 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით.

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040
49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040
www.sportuni.edu.ge

4. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს 2021 წლის 1 ნოემბერს, შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www. Sportuni.edu. ge.
5. კონკურსში გამარჯვებულ პირთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს 2021 წლის 2 ნოემბრიდან.
6. კონკურსი ტარდება სწავლების პირველ საფეხურზე ((საბაკალავრო პროგრამა)

კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- CV ;
- დიპლომის ასლი;
- სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, სათანადოდ დამოწმებულ ასლთან ერთად;
- ორი ფოტოსურათი 3X4;
- სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსი, რომლის წაყვანასაც გეგმავს კონკურსანტი სასწავლო უნივერსიტეტში, როგორც ნაბეჭდი ისე ელექტრონული ვერსია.
- ბოლო 5 წელიწადში გამოქვეყნებული შრომების ნუსხა;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არანაკლებ 3 წელი);
- საკონკურსო მიმართულების შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (კონკურსანტის გადაწყვეტილებით), რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო საქმიანობას, გამოქვეყნებული ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში საერთაშორისო ციტირების ან რეცენზირებადი ინდექსის მქონე ჟურნალში. ბეჭდურის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას ჟურნალის პირველი გვერდისა და ტექსტის ქსეროასლი, რომლის დედანთან შესაბამისობას დაამოწმებს საკონკურსო კომისია ადგილზე, ხოლო ელექტრონულ ჟურნალში გამოქვეყნებულის შემთხვევაში - ონლაინ ვერსია.

კონკურსის შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია გამოქვეყნდებიდან 2 დღის განმავლობაში ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.

კონკურსის ჩატარებისდებულება და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი იხილეთ ვებგვერდზე (www sportuni.edu.ge).

რექტორი, პროფესორი ჯემალ ძაგანია